ქალაქ თბილისის მთავრობის

დადგენილება №2.01.32

2011 წლის 31 იანვარი

ქ. თბილისი

ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე და 34[1] მუხლების შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობა **ადგენს:**

1. დამტკიცდეს "ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესი" (დანართი 1).
2. დამტკიცდეს „მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისი" (დანართი 2).
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გ. უგულავა

შეტანილი ცვლილებები:

1. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

2. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №08.01.284 - ვებგვერდი, 20.04.2011 წ.

3. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის დადგენილება №11.04.424 - ვებგვერდი, 17.05.2011 წ.

დანართი №1

ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდენის წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის მიზანი

1. ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავებით მოვლისა და აღდგენის წესის (შემდგომში – "წესი") მიზანია ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ეკოლოგიური წონასწორობის, ხეების ხნოვანებითი სტრუქტურის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნების, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბების, კლიმატური პირობების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებათა ჩატარებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება.

2. წესი განისაზღვრავს:

ა) მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესს;

ბ) მოსაჭრელი ხეების უბნის გამოყოფის და ხეების მონიშვნის წესს;

გ) მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისის წარმოების წესს.

3. ქ. თბილისის ტერიტორიაზე აკრძალულია მწვანე ნარგავების მოჭრა, გარდა ამ წესით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. აღდგენა – ღონისძიება/რომლის მიზანია მწვანე ნარგავებით დაუფარავ ფართობებზე, დაბალი სიხშირის და დეგრადირებულ კორომებში ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა, გაშენება და გაშენებული ნარგავების მრავალწლიანი მოვლა.

2. აღრიცხვა – მწვანე ნარგავების ფართობის ინვენტარიზაცია და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალების მომზადება.

3. გადაბელვა – სპეციალური ჭრისას მწვანე ნარგავების ტოტების შეჭრა.

4. გაშენება – იმ ტერიტორიების გამწვანება, სადაც არ არსებობდა ბუნებრივი წარმოშობის ნარგავები.

5. დაინტერესებული პირი – ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი.

6. ვარჯის ფორმირება – ხეებზე ქვედა ტოტების შეჭრა, სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტის გარეშე.

7. ზეხმელი ხე – ზრდაშეწყვეტილი ზეზემდგომი გამხმარი ხე;

8. კორომი – მომიჯნავე ტერიტორიისაგან შემადგენლობითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავებული მწვანე ნარგავების ნაწილი.

9. მწვანე ნარგავები – მერქნიანი (ხე, ბუჩქი) და არამერქნიანი მცენარეები, მათი პროდუქტები.

10. მცენარის სახეობა – მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ტაქსონომიური ერთეული.

11. მოსაჭრელი ხეების უბანი – განსაზღვრული ტერიტორია, სადაც გათვალისწინებულია ზეზემდგომი ან ძირნაყარი ხის დამზადება.

12. მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნა – მოსაჭრელი ხეების უბნის გამიჯვნა მოსაზღვრე ტერიტორიისაგან, მოსაჭრელი ხეების აღრიცხვა და მონიშვნა, მოსაჭრელი ხეების უბნის აღრიცხვის უწყისის შედგენა (შემდგომში– აღრიცხვის უწყისი), რომელიც წარმოადგენს მოსაჭრელი ხეების მოპოვების დაწყების განმსაზღვრელ დოკუმენტს.

13. მოპოვება – ზეზემდგომი ხის მოჭრა და/ან ძირნაყარი მერქნის გამოზიდვა.

14. მოსაჭრელი ხის ერთეულად მონიშვნა – ერთეულად მდგარი ხე-ბუჩქების მონიშვნა და აღრიცხვის უწყისის წარმოება.

15. ნარჩენი – ხის მოპოვების შედეგად დარჩენილი ქერქი, ნაფოტი, ნახერხი, შეშად გამოუსადეგარი ტოტები.

16. ნერგი – სანერგის სასკოლო განყოფილებაში აღზრდილი მოზრდილი ტანის მცენარე.

17. სანერგე – ფართობი, სადაც ხდება ნარგავების შემქმნელ სახეობათა სარგავი მასალის მოშენება. სანერგე შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი.

18. სპეციალური გამოკვლევა – კორომების სანიტარიული მდგომარეობის დადგენის, მავნებელ-დაავადებათა გამოვლენის, აღრიცხვისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული კვლევა.

19. სოციალური ჭრა – ერთი ოჯახის (მოსახლე) სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, დაინტერესებული პირის მიერ, ამ წესის შესაბამისად, სათბობი შეშის მოპოვება.

20. (ამოღებულია - 10.03.11 №05.01.161).

21. ფაუტი ხე – ფუტურო, დამპალი და გამოფიტული ხე.

22. ძირნაყარი ხე – წაქცეული ხმელი ხე, მიწაზე დაყრილი მოთხრილ-მოტეხილი, ქარქცეული, თოვლტეხილი მერქანი, წინა წლების ჭრაგავლილი მოსაჭრელი ხეების უბნიდან გამოუზიდავად დარჩენილი მერქანი, აგრეთვე ხიდან ჩამოცვენილი ტოტები, ფიჩხი.

23. ჭრა – მწვანე ნარგავების მოვლითი, სპეციალური ან სოციალური მიზნით ჭრა.

24. ხმობადი ხე – ხე, რომლის ღეროს ერთი მესამედი გამხმარია.

25. რჩეული ხე – ჯანსაღი, სწორღეროიანი, ტოტებისა და როკებისაგან გაწმენდილი ხე, კარგად ფორმირებული ვარჯით.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

თავი II. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები

მუხლი 3. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებები

1. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებათა განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) სპეციალური გამოკვლევის მასალები;

ბ) მწვანე ნარგავების აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

2. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებს ახორციელებს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური. ასევე, ქ. თბილისის შესაბამისი რაიონული გამგეობა (შემდგომში –გამგეობა) ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტით დადგენილ შემთხვევებში, საკუთარი ინიციატივით ან მაცხოვრებლების მოთხოვნის საფუძველზე.

3. სპეციალურ გამოკვლევას ახორციელებს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური ან კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული ფიზიკური ან/და იურიდიული პირები, ხელშეკრულების საფუძველზე.

4. მწვანე ნარგავების მოვლითი ღონისძიებებია:

ა) მოვლითი ჭრების განხორციელება;

ბ) სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე მწვანე ნარგავების დაცვა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის გამომწვევი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებისაგან ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებებით;

გ) ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები;

დ) მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების დაგეგმვა.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 4. მოვლითი ჭრები

1. მოვლითი ჭრის სახეებია:

ა) განათებითი ჭრა – უნდა განხორციელდეს 10 წლამდე ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს მწვანე ნარგავების განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არასასურველი მერქნიანი სახეობებისა და ეგზემპლარების, ასევე ბალახის საფარის მოცილებას მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის რეგულირებისა და ზრდის პირობების გაუმჯობესების მიზნით;

ბ) გაწმენდითი ჭრა – უნდა განხორციელდეს 20 წლამდე ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის შერეულ კორომებში, ამ ადგილისათვის დამახასიათებელი სახეობის ხეებისათვის ზრდის პირობების გაუმჯობესების მიზნით და გულისხმობს განსაზღვრული ადგილისათვის არასასურველი სახეობის მწვანე ნარგავების მოჭრას. უნდა მოიჭრას 8 სმ-მდე დიამეტრის ზრდაში ჩამორჩენილი ხეები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ დიამეტრის ხეების ადგილზე დატოვება ხელს არ შეუშლის ჯანსაღი ხეების არსებობას;

გ) გამოხშირვითი ჭრა – უნდა განხორციელდეს 60 წლამდე (სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით) ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ზრდაში ჩამორჩენილი, მრუდეღეროიანი და დაზიანებული ხეების მოჭრას დარჩენილი ხეების ღეროებისა და ვარჯების სასურველი ფორმის მისაღებად აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით;

დ) გავლითი ჭრა – უნდა განხორციელდეს 61 წლის და მეტი ხნოვანების (გამოხშირვითი ჭრის პერიოდის დამთავრების შემდეგ) 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე გადაბერებული, დაზიანებული, მრუდეღეროიანი და ჭრისათვის მიზანშეწონილი სხვა ხეების მოჭრას დარჩენილი ხეებისათვის მერქნის შემატების პირობების გაუმჯობესების მიზნით;

ე) სანიტარიული ჭრა – სპეციალური გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე, სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არსებული ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრა;

ვ) სარეკონსტრუქციო ჭრა – უნდა განხორციელდეს დეგრადირებული მწვანე ნარგავების (ხეები და ბუჩქები) კორომებსა და დაცვით ნარგაობაში მათი სახეობრივი და სტრუქტურული შემადგენლობის, აგრეთვე პროდუქტიულობის გაუმჯობესების მიზნით მწვანე ნარგავების აღდგენის სამუშაოების განსახორციელებლად, აღდგენის პროექტის შესაბამისად.

2. კორომების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სანიტარიული ჭრით გარემოდან ამოღებული, ხმელი, ხმობადი და ძირნაყარი ხეები უნდა იქნეს გამოტანილი მწვანე ნარგავების ტერიტორიიდან.

3. მოვლითი ჭრა ხელოვნურ ნარგაობაში გულისხმობს დაზიანებული, გამხმარი ეგზემპლარებისა და მავნე მცენარეების პერიოდულად გამოღებას.

4. მოვლითი ჭრებით მიღებული მერქნული რესურსის განლაგება ან გადაცემა ხდება ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ან გამგეობის მიერ, ამ წესის 19[1] მუხლის შესაბამისად.

5. მოვლითი ჭრის ინტენსივობა უნდა დადგინდეს კორომის დახასიათების საფუძველზე.

6. ჭრის ინტენსივობა სიხშირეების მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) 0,7 სიხშირის კორომებში – არა უმეტეს 10%-ისა;

ბ) 0,8 სიხშირის კორომებში – არა უმეტეს 15%-ისა;

გ) 0,9 და მეტი სიხშირის კორომებში – არა უმეტეს 20%-ისა.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 5. მოვლითი ჭრის მეთოდები და მოსაჭრელი ხეების შერჩევა

1. მოვლითი ჭრის ჩატარებისას (გარდა განათებითი და სანიტარიული ჭრისა), უნდა მოინიშნოს მოსაჭრელი ხეების უბანი.

2. მოვლით ჭრას (გარდა სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებისა) უნდა დაექვემდებაროს მავნე ხეები და მარაგის შემატების დაჩქარების მიზნით, განსაზღვრულ შემთხვევებში – ჯგუფურად მდგარი რჩეული ხეები.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 6. მოვლითი ჭრების განხორციელების განსაკუთრებული მოთხოვნები

1. მოვლითი ჭრა უნდა განხორციელდეს ისეთი ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც უზრუნველყოფს რჩეული ხეების მინიმალურ დაზიანებას. გავლითი, გამოხშირვითი და გაწმენდითი ჭრების განხორციელების პროცესში ჭრაში დაუნიშნავი ხეების სასიცოცხლო ფუნქციების შეწყვეტით დაზიანება არ უნდა აღემატებოდეს დარჩენილი ხეების 3%-ს.

2. მოვლითი ჭრის დროს (გარდა სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებისა) კორომის სიხშირე არ უნდა იქნეს დაყვანილი 0,6-ზე ქვევით.

3. მოვლითი ჭრების განხორციელებისას დაუშვებელია მორთრევა ტოტებშეუჭრელად.

მუხლი 7. მოვლითი ჭრებისას, მოსაჭრელი ხეების მონიშვნა და უბნის გამოყოფა

1. ხეების ერთეულად მონიშვნა ხორციელდება მოვლითი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ან გამგეობის მიერ. მოვლითი ღონისძიების სფეციფიკიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური უფლებამოსილია გამოყოს მოსაჭრელი ხეების უბანი.

2. ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'', ,,დ'' და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისას, წარმოებს ხეების აღრიცხვა და მოსაჭრელი ხეების უბნის გამოყოფა.

3. მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნამდე განისაზღვრება მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნას დასაქვემდებარებელი ფართობები და მოსაპოვებელი ხეების მოცულობა მწვანე ნარგავების აღრიცხვის მასალების და მწვანე ნარგავების ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, ხოლო მასალების არარსებობის შემთხვევაში – მწვანე ნარგავების ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით.

4. ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას, ხეების მონიშვნა ხორციელდება მოსაჭრელი ხეების ერთეულად მონიშვნის გზით.

5. მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნისას ძირობრივ აღრიცხვას ექვემდებარება 8 სმ და მეტი ტაქსაციური დიამეტრის ხეები (თითოეული ხის მოცულობის მიხედვით). ხეები იდამღება ფესვის ყელთან მართვის ორგანოებთან შეთანხმებული იდენტიფიცირების დამღით და მდგრადი საღებავით ეწერება რიგითი ნომერი, ჭრაში დანიშნულ ხეებზე თვალთახედვის არეში (მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1,7 მეტრამდე სიმაღლეზე) კეთდება მონიშვნა მკვეთრი ფერის საღებავით.

6. აღრიცხვის უწყისის ერთი ეგზემპლარი ინახება ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში ან შესაბამის გამგეობაში, ხოლო მეორე ეგზემპლარი ეგზავნება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

7. მწვანე ნარგავებზე მოსაჭრელი ხეების აღრიცხვის სამუშაოების შეთანხმება ხდება აღრიცხვის სამუშაოების დამთავრების შემდეგ. შეთანხმებით დგინდება ჭრაში დანიშნული ხეების შესაბამისობა აღრიცხვის უწყისში ასახულ მონაცემებთან, სხვაობის გამოვლენის შემთხვევაში, გადამოწმებას ექვემდებარება ჭრაში დანიშნული ყველა ხე.

8. ჭრა არ ხორციელდება, როდესაც აღრიცხვის უწყისში ხეების მოცულობა არ შეესაბამება ხეების ფაქტობრივ მოცულობას. ასეთ შემთხვევაში, ჭრა ხორციელდება ახალი აღრიცხვის უწყისის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 8. მწვანე ნარგავების მოვლა ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა სპეციალური საშუალებებით

1. ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა სპეციალური საშუალებებით მწვანე ნარგავების მოვლა ხორციელდება სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე დასახულ ღონისძიებათა მიხედვით.

2. სპეციალური გამოკვლევა მიზნად ისახავს:

ა) ხეების სანიტარიული მდგომარეობის დადგენას;

ბ) მავნებელ-დაავადებათა გამოვლენას, აღრიცხვას, მათი გავრცელების მასშტაბებისა და განვითარების ტენდენციების დადგენასა და მათთან ბრძოლის რეკომენდაციებს.

3. მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა სპეციალური საშუალებების ნუსხა და მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 9. მწვანე ნარგავების ტერიტორიის ხანძრისაგან დაცვის მოთხოვნები

1. მწვანე ნარგავების აღრიცხვის დროს ხანძარსაშიშროების კლასებად დაყოფა და ხანძრისაგან დაცვის მოთხოვნების დაგეგმვა ხორციელდება ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ.

2. ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებებია:

ა) სახანძრო დანიშნულების გზებისა და ბილიკების მოწყობა მაღალი ხანძარსაშიშროების კლასის მწვანე ნარგავების უბნებში;

ბ) სახანძრო დანიშნულების საავტომობილო გზებისა და ბილიკების მოვლა-შეკეთება;

გ) ხანძრების შეჩერება-შეზღუდვის მიზნით ხანძარსაწინააღმდეგო ზოლების მოწყობა;

დ) ხანძრების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით წიწვოვან კორომებში ხეთა ვარჯის ფორმირება;

ე) ხანძარსაშიში კორომებიდან ძირნაყარი ხეების გამოტანა და განთავსება უსაფრთხო ადგილზე.

3. ცეცხლის დანთება აკრძალულია ხეების ვარჯის ქვეშ, წიწვიან მოზარდიან, ძველ ნახანძრალებში, მწვანე ნარგავების ტერიტორიაზე დაზიანებულ უბნებში (ქარქცეულ ან ქარტეხილ ადგილებში), მოპოვების ნარჩენებიდან გაუწმენდავ, გამოუზიდავად დატოვებული მოპოვებული ხეების და გამხმარბალახიან ადგილებში.

4. ნახანძრალი ტერიტორიის აღდგენითი ღონისძიებები ხორციელდება აღდგენის პროექტით და მოვლითი ჭრებით.

5. მწვანე ნარგავების ტერიტორიაზე ხანძრის ლიკვიდაციას ახორციელებს საგანგებო სიტუაციების შესაბამისი სამსახური.

მუხლი 10. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების დაგეგმვა

1. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების ღონისძიებები, არსებული საშუალებების გათვალისწინებით იგეგმება მწვანე ნარგავების აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალებისა და სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.

2. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების ღონისძიებებს ახორციელებს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური.

3. დაგეგმილ ტერიტორიაზე უნდა შედგეს მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების პროექტი, რომელსაც ადგენს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური.

4. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების პროექტი უნდა მოიცავდეს განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალსა და ფინანსურ ხარჯთაღრიცხვას.

5. აღდგენას ექვემდებარება:

ა) ნახანძრალები და ასევე სხვა მიზეზით განადგურებული როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნურად გაშენებული მწვანე ნარგავების ფართობები;

ბ) ფართობები, რომელთა ბუნებრივ-კლიმატური პირობები იძლევა მწვანე ნარგავების აღდგენის საშუალებას;

გ) დეგრადირებული კორომები, რომლებიც საჭიროებს რეკონსტრუქციას.

მუხლი 11. აღდგენისა და გაშენების ფორმები

1. აღდგენის ფორმებია:

ა) ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობა;

ბ) აღდგენა თესვით;

გ) აღდგენა დარგვით.

2. გაშენების ფორმებია:

ა) გაშენება ნერგების დარგვით;

ბ) გაშენება თესვით.

3. მწვანე ნარგავების აღდგენის ფორმები შეირჩევა ეკოლოგიური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის საფუძველზე.

4. მწვანე ნარგავების იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს შესაძლებელია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობის გზით მწვანე ნარგავების აღდგენას.

მუხლი 12. განსაკუთრებული მოთხოვნები მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების განხორციელებისას

1. მცენარეთა სახეობების შერჩევასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ბიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობები შეირჩევა უპირატესად იმ ადგილობრივი სახეობებისაგან, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული გარემო პირობებისათვის.

3. სანერგეში სარგავი მასალის აღსაზრდელი ასორტიმენტი შეირჩევა გასამწვანებელი ფართობების და სანერგის ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაბამისად.

4. არაენდემური მცენარეების გაშენებისათვის (ინტროდუქცია) მცენარეთა სახეობების შერჩევა უნდა მოხდეს მათი ბუნებრივ-კლიმატური და სხვა თვისებების შესწავლით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ სახეობებსა და სხვა ფაქტორებზე.

5. აღდგენილი და/ან გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა, ასევე სხვა მახასიათებლები განისაზღვრება აღდგენის პროექტით.

6. აკრძალულია გენეტიკურად მოდიფიცირებული სათესლე და სარგავი მასალების, მცენარეების და/ან მათი ნაწილების გამოყენება მწვანე ნარგავების აღდგენის მიზნით.

მუხლი 13. სპეციალური ჭრა

1. სპეციალური ჭრა ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის:

ა) შენობა-ნაგებობების (ფასადები, სახურავები), საგზაო ნიშნების ხილვადობის ან მათი ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციისა ან რეაბილიტაციისათვის;

გ) ხეების შესაძლო წაქცევით ნებისმიერი ინფრასტრუქტურის ან მისი ცალკეული ელემენტების ფუნქციონირების შეზღუდვის ან მათი დაზიანების საფრთხის თავიდან აცილებისათვის;

დ) შენობა-ნაგებობების, ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის ან დემონტაჟისათვის;

ე) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისა და წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისას.

2. სპეციალური ჭრა ხორციელდება ქ. თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის, ასევე გამგეობის (გარდა ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'', ,,დ'' და ,,ე'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მიერ, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე.

3. სპეციალური ჭრის შედეგად მიღებულ მერქნული რესურსის განლაგება ან გადაცემა ხდება ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ან შესაბამისი რაიონული გამგეობის მიერ, ამ წესის 19[1] მუხლის შესაბისად.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 14. სპეციალური ჭრის განხორციელება

1. სპეციალური ჭრა შეიძლება განხორციელდეს:

ა) მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნით;

ბ) მოსაჭრელი ხის ერთეულად მონიშვნით.

2. (ამოღებულია - 10.03.11 №05.01.161).

3. მოსაჭრელი ხეების მოჭრა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახეებით:

ა) პირწმინდა ჭრით - გამოყოფილ უბანზე მონიშნული ხეების პირწმინდა ჭრა, მოსაჭრელი ხეების ოდენობის მიხედვით.

ბ) ძირობრივი ჭრით – ზეზემდგომი ხეების მოჭრით აღრიცხვას ექვემდებარება 8 სმ და მეტი ტაქსაციური დიამეტრის ხეები. ჭრაში დანიშნულ ხეებზე თვალთახედვის არეში (მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1,7 მეტრამდე სიმაღლეზე) კეთდება მონიშვნა მკვეთრი ფერის საღებავით.

4. (ამოღებულია - 10.03.11 №05.01.161).

5. აღრიცხვის უწყისის ერთი ეგზემპლარი ინახება ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში ან შესაბამის გამგეობაში, ხოლო მეორე ეგზემპლარი ეგზავნება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

6. მწვანე ნარგავებზე მოსაჭრელი ხეების აღრიცხვის სამუშაოების შეთანხმება ხდება აღრიცხვის სამუშაოების დამთავრების შემდეგ. შეთანხმებით დგინდება ჭრაში დანიშნული ხეების შესაბამისობა აღრიცხვის უწყისში ასახულ მონაცემებთან, სხვაობის გამოვლენის შემთხვევაში, გადამოწმებას ექვემდებარება ჭრაში დანიშნული ყველა ხე.

7. ჭრა არ ხორციელდება, როდესაც აღრიცხვის უწყისში ხეების მოცულობა არ შეესაბამება ხეების ფაქტობრივ მოცულობას. ასეთ შემთხვევაში, ჭრა ხორციელდება ახალი აღრიცხვის უწყისის საფუძველზე.

8. (ამოღებულია - 10.03.11 №05.01.161).

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 15. მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნა

1. მოსაჭრელი ხეების უბანი ინიშნება ამ წესის 13-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' და ,,ე'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. მოსაჭრელი ხეების უბანზე შეიძლება განხორციელდეს ამ წესის 14-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ჭრა ან ხეების გადაბელვა.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 16. მოსაჭრელი ხეების ერთეულად მონიშვნა

1. ხეები ერთეულად ინიშნება ამ წესის 13-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'', ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. მოსაჭრელი ხეების უბანზე შეიძლება განხორციელდეს ამ წესის 14-ე მუხლის მე-3 პუნქტით "ბ'' ქვეპუნქტით განსაზღვრული ჭრა ან ხეების გადაბელვა.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 17. მწვანე ნარგავების ამოღება-გადარგვა

1. სპეციალური ჭრის განხორციელებისას, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ამოღება-გადარგვას დაქვემდებარებული ხეების გადარგვა.

2. ხეების გადარგვა ხორციელდება ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ან გამგეობის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 18. სოციალური ჭრა

1. ქ. თბილისის მთავრობა სოციალური ჭრის განხორციელების მიზნით განსაზღვრავს დაინტერესებულ პირთა კატეგორიას და საცხოვრებელ ტერიტორიას, ასევე დაინტერესებულ პირთა მოხმარებისათვის მოსაპოვებელი სათბობი შეშის ოდენობის ფარგლებს.

2. მერქნული რესურსის მოპოვებისათვის გადაიხდევინება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსაკრებელი.

3. ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური ამოწმებს წარდგენილ განცხადებას და გასცემს შესაბამის თანხმობას, რომელშიც მითითებულია მოსაჭრელი ხეების უბანი და მოსაჭრელი ხეების საიდენტიფიკაციო ნომრები.

4. დაინტერესებული პირი ვალდებულია ესწრებოდეს შეშის მოპოვებას და, ამასთან, თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა.

5. დაინტერესებული პირს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე აწარმოოს შეშის მოპოვება.

6. დაინტერესებული პირი ვალდებულია, შეშის მოპოვების (ჭრა) და გადაზიდვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედების განხორციელებამდე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს შეუთანხმოს მწვანე ნარგავების ტერიტორიაზე გადაადგილების სვლაგეზი.

7. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანხმობის საფუძველზე, მიუთითებს დაინტერესებულ პირს მოსაჭრელი ხეების უბანს და მოპოვებულ მწვანე ნარგავებზე გასცემს კანონიერების დამადასტურებელ დოკუმენტს, დაინტერესებული პირის მიერ შესაბამის მწვანე ნარგავების ტერიტორიიდან გამოსვლამდე, ქ.

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ადგილას. დაინტერესებული პირი ვალდებულია შეინახოს კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი მოპოვებული შეშის განთავსება/სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

8. სოციალური ჭრისათვის მერქნული რესურსის გაცემა ხორციელდება ძირნაყარი, მოვლითი და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მწვანე ნარგავებიდან, რომლებიც განლაგებულია შესაბამის ტერიტორიაზე.

9. დაინტერესებული პირი ვალდებულია შეასრულოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მითითება, შეაჩეროს ჭრა, წარმოადგინოს შესაბამისი დიკუმენტი ან/და უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა მოთხოვნის შესრულება.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 19. სოციალური ჭრის განხორციელება

1. სოციალური ჭრისათვის მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნამდე განისაზღვრება მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნას დასაქვემდებარებელი ფართობები და მოსაპოვებელი ხეების მოცულობა მწვანე ნარგავების აღრიცხვის მასალების და მწვანე ნარგავების ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, ხოლო მასალების არარსებობის შემთხვევაში – მწვანე ნარგავების ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით.

2. მოსაჭრელი ხეების მონიშვნისას, ძირობრივ აღრიცხვას ექვემდებარება 8 სმ და მეტი ტაქსაციური დიამეტრის ხეები (თითოეული ხის მოცულობის მიხედვით). ხეები იდამღება ფესვის ყელთან და 1,3 მეტრ სიმაღლეზე იდენტიფიცირების დამღით, მდგრადი საღებავით ეწერება რიგითი ნომერი.

3. ხეების აღრიცხვა ხორციელდება ხის ჯიშების და დიამეტრების მიხედვით.

4. მწვანე ნარგავების მონიშვნისას ჭრაში დანიშნული ხეების სრული მოცულობის გაანგარიშება ხორციელდება 0,01 კბმ სიზუსტით.

5. აღრიცხვის უწყისის ერთი ეგზემპლარი ინახება ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, ხოლო მეორე ეგზემპლარი ეგზავნება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

6. ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ მწვანე ნარგავებზე მოსაჭრელი ხეების აღრიცხვის სამუშაოების შეთანხმება ხდება თითოეულ მწვანე ნარგავების უბნის აღრიცხვის სამუშაოების დამთავრების შემდეგ. შეთანხმებით დგინდება ჭრაში დანიშნული ხეების შესაბამისობა აღრიცხვის უწყისში ასახულ მონაცემებთან, სხვაობის გამოვლენის შემთხვევაში გადამოწმებას ექვემდებარება ჭრაში დანიშნული ყველა ხე.

7. ჭრა არ ხორციელდება, როდესაც აღრიცხვის უწყისში ხეების მოცულობა არ შეესაბამება ხეების ფაქტობრივ მოცულობას. ასეთ შემთხვევაში, ჭრა ხორციელდება ახალი აღრიცხვის უწყისის საფუძველზე.

8. (ამოღებულია - 10.03.11 №05.01.161).

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 19[1]. მოჭრილი მწვანე ნარგავების განთავსება და გადაცემა

1. ამ წესით გათვალისწინებული ჭრების (გარდა „დედაქალაქის საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელმწიფო ტყის ფონდის კუთვნილი ფართობების (8106.9 ჰა) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №1070 განკარგულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე განხორციელებული ჭრების შედეგად მიღებული მწვანე ნარგავებისა) შედეგად მიღებულ მერქნული რესურსის განლაგება ან გადაცემა ხდება ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ან შესაბამისი რაიონული გამგეობის მიერ.

2. ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური ან რაიონული გამგეობა უფლებამოსილია მის სარგებლობაში არსებული მერქნული რესურსი საკუთარი ინიციატივით ან/და მოსახლეობის მოთხოვნით უსასყიდლოდ გადასცეს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 19². ჩამორთმეული ან/და ინსპექტირებისას გამოვლენილი უკანონოდ მოპოვებული მწვანე ნარგავების განკარგვა

1. ჩამორთმეული ან/და ინსპექტირებისას გამოვლენილი უკანონოდ მოპოვებული მწვანე ნარგავები წარმოადგენს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მწვანე ნარგავები, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ, შეიძლება დასაწყობდეს საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

3. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს უფლება აქვს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მწვანე ნარგავები საშეშე მერქნად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, უსასყიდლოდ გადასცეს იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს, მათი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, საკუთარი ინიციატივით ან/და გამგეობის შესაბამისი წერილობითი მომართვის საფუძველზე.

4. ჩამორთმეული ან/და ინსპექტირებისას გამოვლენილი უკანონოდ მოპოვებული მწვანე ნარგავების გადაცემისას, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირი.

5. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს გადასაცემი მწვანე ნარგავების ტრანსპორტირებას საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიამდე.

6. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ინსპექტირებისას გამოვლენილი სამართალდარღვევის იარაღი (იარაღები) კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.

7. სამართალდარღვევის იარაღის (იარაღების) გადაცემისას, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირი.

8. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის გადაცემამდე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს ჩამორთმეული სამართალდარღვევის იარაღის (იარაღების) შენახვას.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის დადგენილება №11.04.424 - ვებგვერდი, 17.05.2011 წ.

თავი III. კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლა

მუხლი 20. კერძო საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავები

1. მესაკუთრე ვალდებულია მოუაროს, არ დააზიანოს და ხელი შეუწყოს მის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ზრდა-განვითარებას და შექმნას ამისათვის ხელსაყრელი გარემო.

2. ქ. თბილისის ტერიტორიაზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოჭრა აკრძალულია (გარდა ხილ-კენკროვანი ნარგავებისა) ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ან შესაბამისი გამგეობის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობის გარეშე.

3. მესაკუთრე ვალდებულია შეატყობინოს შესაბამის სამსახურს მის საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავების ხმობის, მავნებელ დაავადებების აღმოჩენის ან კერძო საკუთრებისათვის ზიანის მიყენების საფრთხის შემთხვევებში.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

მუხლი 21. კერძო საკუთრებაში ჭრის განხორციელება

1. დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, მათ შორის, იურიდიული პირის კუთვნილი შენობა-ნაგებობის ცალკეული ელემენტების ფუნქციონირების შეზღუდვის ან მათი დაზიანების საფრთხის აღმოფხვრის მიზნით, მესაკუთრეს უფლება აქვს განახორციელოს ჭრა ან ხეების ამოძირკვა-გადარგვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანხმობის საფუძველზე. თანხმობის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

2. იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ზეხმელი, ხმობადი და ფაუტი ხეების, ასევე მათი შესაძლო წაქცევით კერძო საკუთრების ან მისი ცალკეული ელემენტებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, მესაკუთრე ვალდებულია განახორციელოს ჭრა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. თანხმობის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

3. ფიზიკური პირის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ასევე საჯარო სკოლებისა და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების ტერიტორიაზე ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი მწვანე ნარგავების, მათ შორის ზეხმელი, ხმობადი და ფაუტი ხეების, შენობა-ნაგებობის ცალკეული ელემენტების ფუნქციონირების შეზღუდვის ან მათი დაზიანების საფრთხის აღმოფხვრის, ასევე მათი შესაძლო წაქცევით კერძო საკუთრების ან მისი ცალკეული ელემენტებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, ჭრას ახორციელებს გამგეობა ან ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური.

4. დაინტერესებული პირის მიერ რჩეული ხის მოჭრის ან ამოძირკვა-გადარგვის მოთხოვნის შემთხვევაში (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა), განცხადებას თან უნდა ერთოდეს მესაკუთრის მიერ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარი.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.
ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №08.01.284 - ვებგვერდი, 20.04.2011 წ.

მუხლი 22. პასუხისმგებლობა დადგენილების დაღვევისათვის

ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წესით.

თავი IV. მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისის წარმოება

მუხლი 23. მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისის წარმოება

1. მწანე ნარგავების აღრიცხვის უწყისი (დანართი №2) დგება მოსაჭრელი ხეების უბნის მოსაზღვრე ტერიტორიისაგან გამიჯვნისათვის, ხეების აღრიცხვისა, მონიშვნის, რაოდენობისა და მოცულობის განსაზღვრისათვის.

2. აღრიცხვის უწყისს ადგენს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური ან შესაბამისი გამგეობა.

3. ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური ითანხმებს სპეციალური ჭრის განხორციელებისათვის, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილ აღრიცხვის უწყისს.

4. ჭრა ხორციელდება მხოლოდ აღრიცხვის უწყისის შედგენის შემდგომ.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის დადგენილება №05.01.161 - ვებგვერდი, 22.03.2011 წ.

დანართი №2

მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისი

ქ. თბილისი ----------რაიონი ----------, დასახლება ----------,
სამცველო № --------, კვარტალი № ------ ლიტერი (ლიტერები) ---------- ფართობი ----------
ჰა,
სიმაღლის თანრიგი ---------- ჭრის სახე ----------აღრიცხვის მეთოდი ----------
მოსაჭრელი ხეების უბნის კოორდინატები ----------

ხის №	მერქნიანი სახეობა	დიამეტრი სმ	სულ ხის მოცულობა, კბმ	შენიშვნა
1	2	3	4	5
სულ:				

აღრიცხვის უწყისის შემდგენი ---------- ბ.ა.
აღრიცხვის უწყისის შედგენის თარიღი----------
აღრიცხვის უწყისის შეთანხმებაზე პასუხისმგებელი ---------- ბ.ა.